სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—6 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

დარია ზაქარიას ასული და ელისაბედ სერგეის ასული მირზოევისანი და კნეინა მარიამ ივანეს ასული არღუთინსკი-დოლგორუკოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა თვისთა გარდაცვალებას პირველი შვილისას, მეორე—ქმრისას და მესამე ძმისას

## მინა ივანეს ძის მირზოევისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, ორთაჭალაში, საკუთარს სახლში. მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 24 სექტემბერს, ვანქის სობოროში დილის 9 საათზე. დაკრძალავენ სოფ. თელეთში. (3—2)

---

გაზეთი „ცნობის ფურცელი"
წლის დამლევამდე

## ღირს 2 მანათი

---

## ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ

трехъ величинъ
и

## ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ

продаетъ торговый домъ
С. П. Павловъ и К°
Тифлисъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.

პრესები ყურძნის დასაჭყლეტად
სამი ნაირის ზომისა
იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.
სავაჭრო სახლში
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი №349. ტელეფონი № 349.
(15—13)

---

შპალერების საწყობი

## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ

## I. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—48)

---

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины

ახლად გამართული რესტორანი

## „იუჟნი ნომერა"

ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად და გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი უოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია
(30—26) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

---



მალე აქედან გამგზავრების გამო
იაფად იყიდება მოლაპარაკე თუთიყუშები
იქვე ყიდულობენ
კავკასიის ნადირებს ცოცხლად:
ირმებს, ჯეირანებს, შურთხებს, ჯიხვებს, გარეულ თხებს და სხვა გარეულ ცხოველთა.
მსურველნი მიჰმართავენ: მიხეილის ქუჩა, № 106, ბარამოვის სახლებში.
(12—10) ჭუგო ვინკლერი

---

## ექიმი თუმანოვი

ღებულობს ავადმყოფებს ქალების სატკივრით ყოველ-დღე 1—2 საათამდე.
მადერის ქ. № 6, სახ. ვარლამოვისა
Д-ръ Тумановъ
Куки, Мадеровская ул. № 6.

---

## კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
მიხეილის ქუჩა № 32
(30—15)

---

## ქალების საკვირაო სკოლაში

რომელიც არის მოთავსებული სომხის ბაზარში ფრანგების ეკლესიის პირდაპირ (პროფესიანალურ სკოლაში. ასწავლიან ყველა საგნებს და აგრეთვე ჭრიგვნას.

ხელსაქმე კვირაში ორჯელ არის ორშაბათს და ხუთშაბათს 4—6 საათამდინ. სწავლა კვირა დღეობით თერრმეტის ნახევრიდან იწყობა. (6—3)

---

## სტუდენტი

ეძებს გაკვეთილებს სხვასაქმეს
მოიკითხონ ავჭალის ქუჩაზე, № 9 ნაუმოვის სადგომი, ან „ცნ. ფურცლის" რედაქციაში. (6—3)

---

ვერაზე, მატერიალის ქ. № 17

## იძლევა ქირით

სამი ოთახი სამზარეულოთი
ზემო სართულში
პირობების შეტყობა შეიძლება იქვე
(3—2)

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (Წ.)

---

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას

და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ჩ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурiа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** **სამინისტროს განმარტება.** სახალხო განათლების სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, განმარტა, რომ იმ მეშჩანთა წოდების სახალხო მასწავლებელნი, რომელთაც კურსი დაუმთავრებიათ სამასწავლებლო სემინარიებში, იხდიდნენ მეშჩანთა საზოგადოებისათვის სავალდებულო გადასახადებს მანამ, სანამ 12 წლის სამსახურის შემდეგ არ მიიღებენ პირადი საპატიო მოქალაქის წოდებას.

*** **ქაღალდის ფულის ხმარების ვადა.** 1887 წლის ქაღალდის ხუთმანეთიანისა, ოც-და-ხუთ მანეთიანისა და თუმნიანის ხმარების უკანასკნელი ვადა გათავდება 1890 წლის 31 დეკემბერს.

*** **ტფილისის ვაჭრების კრება.** 27 სექტემბერს, კვირას, საბჭოს დარბაზში მოხდება ტფილისის ვაჭრების კრება ტფილისში საკომერციო სასწავლებლის დაარსების საქმის განსახილველად და აგრეთვე საობლო სასამართლოში წევრთა ასარჩევად.

*** **მელქიქოვის მაღაზიაში** დამწვარი საქონელი დაზღვეული ყოფილა „რუსეთის“ დამზღვეველ საზოგადოებაში 30 ათას მანეთად.

*** **ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების მოქმედება.** ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოებას იმ თანხის გასაძლიერებლად, რომელიც გადადებულია ბავშვების თავშესაფარისა და სახალხო საბავშვო ბაღის შესანახად, განზრახვა აქვს მომავალ თვის დამდეგს გამართოს საქველ-მოქმედო ბაზარი ბავშვთა და დიდთათვის. იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ შემწეობა აღმოუჩინონ საზოგადოებას ფულით და ნივთებით, უნდა გაუგზავნონ ისინი საზოგადოების თავმჯდომარეს, კავკასიის საქალებო ინსტიტუტის უფროსს ქალს ო. მ. ბუტურლინისას.

*** **ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი.** მღვდელს ნიჟარაძეს, რომელიც ცნობილია თვისი ეტნოგრაფიული წერილებით სვანეთის შესახებ, დაუმთავრებია ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონის შედგენა, რომელიც დიდი ხანია დაიწყო. ავტორი ამ ჟამად ცდილობს პროფ. ა. ა. ცაგარლის დახმარებით დააბეჭდვინოს ეს საყურადღებო შრომა მეცნიერების აკადემიას. („ნ. ო.“)

*** **ოთხ რქიანი ჯიხვები და ცხვრები.** კავკავის სამეურნეო გამოფენაზე კ. ა. ისკანდეროვმა წარადგინა უსუსბიევის საზოგადოებიდან 40 ჯიხვი და 37 ცხვარი, ყველა ოთხ-ოთხ რქიანი. ეს ჯიხვები და ცხვრები მოუშენებიათ ერთი შინაური ცხვრისაგან; მათი განსაკუთრებული ნიშნები მემკვიდრეობით თურმე გადადის თაობიდან თაობაზე. ჯიხვებიც და ცხვრებიც ბ. ისკანდეროვს გასაყიდათ ჰყოლია.

*** **სწავლის დაწყება ვერის საკვირაო სკოლაში.** სწავლა ვერის ეკკლესიასთან არსებულ საკვირაო სკოლაში 27 სექტემბრიდან დაიწყება. სკოლაში მიიღებენ ვაჟებს არა ნაკლებ 14 წლისას.

*** **ქართველი მეფუნთუშე.** აქამდის ტფილისში ქართველთაგან ორი-სამი კანდიტერ-მეფუნთუშე იყო, ერთი ძველთაგანი, ალ. ქავქავაძის ნაყმევი, რომელიც ბატონს მიუცია ფრანგებისთვის და ეს ხელობა უსწავლინებია 1840 წ. 1850 წ. ტფილისში უკვე იყო ქართველ მეფუნთუშეს კანდიტერი აბრამ ხუციშვილი. მას შემდეგ მიდის დრო და ეს საქმე ქართველთ შორის ფეხს იდგამს. აი ერთი სავაჭრო კიდევ ეხლა მოუწყვიათ ავჭალის ქუჩაზე, დიდს მაღაზიაში, ევროპიულად, კოხტად. პატრონი არის ვინმე ქართველი კათოლიკე ევთიევი.

*** **სამი თვის ანგარიში ხელოსანთა ამხანაგ. „შრომისა“.** ჩვენს მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, თუ ვითარის სიძნელით მოხერხდა და მოგვარდა ეს ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო ამხანაგობა. 15 თიბათვეს მიმდინარე წლისა ამხანაგობამ გახსნა საკუთარი ქარხანა თ. მუხრან-ბატონის მამულში, კუკიის ხიდზე. 15 ენკენისთვეს შესრულდა სამი თვე ამ ნორჩის ამხანაგობის არსებობისა. გამგებელმა ამხანაგობისამ ბ-ნმა მიხეილ ნასიძემ გამოგვცა 3 თვის ანგარიში, რომელსაც მკითხველთა საყურადღებოდ აქვე ვბეჭდავთ.

15 თიბათვეს, როდესაც საამხანაგო ქარხანა დაარსდა, წევრთა რიცხვი არ აღემატებოდა 70-ს და საწევრო ფულის ჯამი იყო 450 მანათი. აი ამ მცირედის თანხით გაბედა „შრომის“ ამხანაგობამ საქმის დაწყობა. თანხა თუმცა მცირე იყო, ხოლო წადილი და ხალისი წევრთა შორის დიდი. კიდეც ამან გააბედვინა ასე მალე და ასეთის მცირედის ქონებით საქმის დაწყობა. სამის თვის ისტორიამ ქარხნისამ დაამტკიცა, რომ გამგენი არც შემცდარან თავიანთ განზრახვის ადრე განხორციელებით. 15 ენკენისთვისთვის „შრომაში“ ითვლებოდა 105 წევრი, რომელთაც შემოუტანიათ საწევრო ფული 628 მანათი და 50 კაპ. სამი თვის განმავლობაში ქარხანას აუღია კერძო შეკვეთილობიდამ 645 მან. და 1 კ., შეუძენია ავეჯეულობა 31 მ. 95 კ., დაუმზადებია გასასყიდად მებელი, ღირებული 521 მანათად. აი თვით ბალანსი ამხანაგობისა, 15 ენკენისთვისთვის შემდგარი.

| აქტივი | მ. კ. |
|---|---|
| I. კასსაში ნაღდი . . | 46—25 |
| II. ავეჯეულობა (ინვენტ.) | 31—95 |
| III. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . | 58—73 |
| IV. გასაყიდად მომზადებული მებელი, იმ ფასად დაფასებული, რაც თვით ქარხანას უზის . . . . | 521—„ |
| V. $3^1/_2$ თვის გილდი . | 9—„ |
| VI. ხის მასალა . . . | 112—30 |
| VII. შეკვეთილი და დამზადებული ნივთები | 137—„ |
| ბალანსი | 916—23 |

| პასსივი | |
|---|---|
| I. საამხანაგო ფული 105 წევრისა . . . . | 628—50 |
| II. ორის კრედიტორისა | 25—„ |
| III. მისაცემი ჯამაგირები | 122—60 |
| IV. საკომისიო საქონელი | 45—„ |
| V. მოგების ანგარიშზე | 95—13 |
| ბალანსი | 916—23 |

შენიშვნა. მოსალოდნელია კიდევ მოგება, როდესაც დამზადებული მებელი, დაიყიდება 155 მანათი.

95 მანეთი და 13 კაპ. წმინდა მოგება უნახავს ამხანაგობას 3 თვეში. ხოლო ძვირფასი მებელი, რომელიც დაამზადა ქარხანამ და რომელიც ჯერ არ გაყიდულა, ორთა შუა რიცხვით, სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ, ერთ 100 მანეთს მაინც მოიცემა მოგებას. მაშინ მოგების ჯამი გამოიხატება ციფრით 195 მ. და 13 კაპ.

იტყვით, ცოტაოო! დიახაც, უკეთუ „შრომის“ აზრი ისა ყოფილიყო მხოლოდ, რომ მოგებაზედ ევლო. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, „შრომის“ აზრი არის, კარგად დააჯილდოვოს მუშა-ხელოსანი და უსინდისოდ არ გაყვლიფოს და არ მოატყუოს მუშტარი, მასალა ახმაროს კარგი და ხმელი, ე. ი. მოიგოს გული მუშტრისაც და ხელოსნისაც. ასეთს გარემოებიში დიდი მოგება ყოვლად შეუძლებელია. და განა ის მოგება არ იყო, რომ რაც მუშტრიდამ შემოვიდა ხელოსნის ჯიბე-უბეს მოჰხვდა და არა ჩარჩის ხელში ჩავარდა?

ქარხანას მოუვიდა რამდენიმე მადლობის ბარათი შემკვეთელებისაგან საქმის კარგად შესრულებისთვის.

ქარხანაში ამ ჟამად 20 ხელოსანი მუშაობს, მაგრამ საქმეს ვერ ასდიან. უკანასკნელ კრებაზედ ლაპარაკი იყო, მოიწვიონ კიდევ ოსტატები გააფართოვონ ქარხანა.

ახლო ხანებში ხელოსნები აპირობენ აკურთხონ ქარხანა, საამხანაგო სადილიც გამართონ, რომელზედაც მიწვეულ იქნებიან ზოგიერთნი ჩვენნი წარჩინებულნი პირნი.

*** **ქ. ოზურგეთი.** **მველ მველ ეკკლესიის აღმოჩენა.** ერთ ძრიელ დაბურულ ტყეში ნადირობის დროს მე წავაწყდი ძველისძველ ეკკლესიას, რომელიც იმყოფება ქ. ოზურგეთიდან სამხრეთ-ჩრდილოეთით, 15 ვერსის მანძილზე, სახელდობრ „ნაკვეთაზე“. ეკკლესია არის ქვითკირით ნაშენი, გუმბათიანი; გარედან სულ სუროთია შეფოთლილი ისე, რომ ფანჯრები ძლივს-ღა ეტყობა. შიგ მუდამ ბნელა: ცალკე მაღალ და სქელ ჯაგვებს აქვს დაჩრდილული და ცალკე სუროს. ცოტაოდენი სინათლის შემწეობით, როგორც იყო გავბედე შიგ შესვლა და თვალწინ წარმომიდგა მრავალი ქართულ-ხუცური წარწერა. ჩემდა საუბედუროდ ხუცური არ ვიცოდი და მოწყენილი შევყურებდი სხვა და სხვა გვარ მხატვრობას. ეს ტაძარი დღეს მგლებს, ტურებსა და ველურ ღორებს გადაუქცევიათ თავიანთ ბინად. ჩვენი ფიქრით, ამ ძველ ეკკლესიას მნიშვნელობა ექნება ჩვენი ისტორიისათვის და ამიტომ იმედი გვაქვს, ჩვენი არქეოლოგები უყურადღებოდ არ დასტოვებენ მას.

ვარდენ მეთვალყურე

*** **ს. პატარა გულიხეთი** (სამეგრელო). **ადგილ-მდებარეობა და მიწის მოსავლი.** პატარა გულიხეთი ძევს იმერეთის საზღვარზე მდ. ცხენის წყლის მახლობლად. მდებარეობა ამ სოფლისა მეტად მშვენიერი და ლამაზია. ჰაერი გრილი და სასიამოვნო აქვს. აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხრით აკრავს „ბაბაგვნის“ მინდვრები, ხოლო დასავლეთ-სამხრეთით ცხე-

ნის წყლის ვრცელი ქალა. პატარა გულიხეთი შესდგება მარტო ჩვიდმეტიოდე კომლ მცხოვრებისაგან. ამათ წარმოება ს შეადგენს ხვნა-თესვა და შინაური პირუტყვის მოვლა მოშენება. ჭირნახულში უმეტესად აქ სთესვენ სიმინდს. როგორც ამბობენ წინათ ღვინო აქ ბევრი მოდიოდა კარგის ხარისხისა, მაგრამ ამის მოსავალმაც თან და თან იკლო. აქ უფრო გავრცელებულია ადესის ვენახი, რომელიც ხეებზე აქვთ გაშვებული. ამ სოფლის მცხოვრებთ სწორედ ცუდი დრო დაუდგა. ესენი ყოველსავე მოთხოვნილებას ხეტყით და მამულის შემოსავლით ისტუმრებდნენ და ამის შემდეგ არ იციან, თუ რა საშუალებას მიჰმართონ. ამათი მიწა-მამული მდ. ცხენის წყლის გამო შემცირებულია. თუმცაღა სახნავ-სათესი მიწები კიდევ კარგათა აქვთ, მაგრამ სიმინდი მაინც იმდენი არ მოდის, რომ გასასყიდად მოიმეტონ და კიდეც რომ მოუვიდეთ, გასავალი არა აქვს, ხოლო აბრეშუმის წარმოებით ეს სოფელი ამ უკანასკნელ წლებში კარგად სარგებლობს. ვიმედოვნებ, რომ ასეთი სასარგებლო დარგი მეურნეობისა თან და თან შეუყვარდებათ და ამ გზით მაინც სოფელი ეკონომიურად წინ წავა.

— **ეკკლესიის საჭიროება.** პატარა გულიხეთი, როგორც ამას წინათ მოგახსენეთ, მოკლებულია ყოველივე კეთილ დაწესებულებას. სხვას, რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამათი უმთავრესი ნაკლია ეკკლესიის უქონლობა. ამ სოფლის მკვიდრნი იმ დღიდან, რაც გულიხეთიდან გამოსახლდნენ გამოღმა მხარეზედ, თავიანთი ეკლესია მდ. ცხენის წყლის გამო უსარგებლო გაუხდათ. ამათ აქ ეკკლესიის აშენება ვერ შესძლეს, რადგან რიცხვით ცოტანი არიან და ზოგი ამათგანი ქონებრივათაც დაცემულია. ესენი თუმცა-ღა წირვა-ლოცვას ისმენენ მახლობელ ს. ჩხენიშის ეკკლესიაზე, მაგრამ ამითი მარტო ვერ კმაყოფილდებიან. ამათი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სასაფლაო, რომლითაც გარეშე სოფელში უსასყიდლოდ ვერ ისარგებლებენ. მეტათ შეწუხებულია პატარა გულიხეთი უეკლესიობით. ამათ სიკვდილზე მეტათ სამწუხაროდ მიცვალებულის დასაფლავება ურჩებათ, რადგან გულიხეთში თავიანთ ეკლესიაზე მიცვალებულის წაღება საძნელოა. ამისთვის ძლიერ საჭიროა, რომ ვინმე ითავებდეს ამ საქმეს და ამათი შეძლებისა დაგვარად აშენებდეს პატარა ეკლესიას (საჯვარეს), რომელსეც რასაკვირველია, სასაფლაოც თან ექნება და ამით სოფელს მიეცემა დიდი საშუალება.

— **გზის უვარგისობა.** არც ერთ ჩვენს სოფლებში არ არის ისე უყურადღებოდ გზები, როგორც პატარა გულიხეთშია. ავდარში აქ კაცს გზაზე ვერ გაუვლია. ისეთი წყალი და ტალახი დგება, რომ მგზავრი იძულებულია უკან დაბრუნდეს; აგრეთვე ურმის გავლაც მეტათ გასაჭირია ხოლმე. აქ მას შემდეგ, რაც გზა გაუჭრიათ, კაცს ხელი არ უხლია მის გასაუმჯობესებლად. ამათ წვრილი ქვა მაინც ბევრი აქვთ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ისიც დაზარებიათ, რომ თავიანთ კარებზე მაინც მოეკირწყლათ გზები. დიახ, მეტად შეწუხებულია ეს სოფელი გზების უვარგისობით, მაგრამ ვინ არის პატრონი, თუ თავიანთი საქმე ამათ თავათ არ უძებნიათ. საკვირველია, ამათთვის არც მთავრობა გამოჩნდა და არც კერძო კაცი ვინმე, რომ ამ გაჭირვებისაგან ყოფილიყვნენ მაინც თავისუფალნი. ძლიერ საჭიროა, რომ ადგილობრივი მამასახლისი ყურადღებას მიაქცევდეს აქაურს გზების უვარგისობას.

ევგენი ჩიჯავაძე

*** **ახალ-სენაკი** მაღლებმა შეგვაწუხეს. ლამის მთელი დაბა ძაღლებმა აიკლოს. აქ იმდენი ძაღლები იყრის თავს, რომ ისეთი დღე იშვიათი იქნება, ძაღლებმა ერთი ორიი არ უყონ გამვლელ-გამომვლელს, მაგრამ ვინ არის პატრონი? იმედია აქაური პოლიციის ბოქაული დაგვიხსნის ამ სასაცილო განსაცდელისაგან და მოხეტიალე ძაღლებს გააწყვეტინებს.

— **„არფიანკები“ და მათი მოტრფიალენი.** მთელ გაზაფხულის აქეთ დღემდე აქ საბუდარი გაიკეთა „არფიანკებმა“, რომლებსაც „სკრიპკა“ ჭიანური დააქვთ და მით ყვლეფენ ჩვენს გონებით ჩლუნგს ზოგიერთ მუქთა ხორობაში ჩვეულ ახალგაზდებს. მუდამ დღე აქაურ სამიკიტნოებში ერთი ღვინის სმა და „არფიანკების“ ჭიანურის ხმა გაისმის. ნეტავ როდის მოვა გონს ჩვენი ამ გვარი ყმაწვილები?...

teleffoni

*** **სოფ. ბახვი** (გურია). აქაური ჩარჩ-ბაცაცები. მოგეხსენებათ, ჩვენი ხალხისთვის ნამდვილი ქესატობის დრო ზაფხული ყოველივე მოთხოვნილება-კი ამავე ზაფხულში უნდა გაასწოროს. რა ქნას საწყალმა მუშა გლეხმა? აი სწორედ ამისთანა შემთხვევებით სარგებლობენ აქაური ვაჟბატონები და ურცხვად დათარეშობენ სოფელ-სოფელ ახალი ყურძნის მოსავლის სასყიდლათ. ჯერ ყურძენი არ დამწიფებულა და ეს ვაჟბატონები-კი გოდორს მანეთად ყიდულობენ. მერმე იცით, ამათ გოდორს რა მოდის? სამ ფუთზე მეტი... ისიც თავისი ზურგით უნდა მიუტანოს გამყიდავმა მოსავლობის დროს, ამდენ ხანს ეს ვაჟბატონები უფრო მალულად მოქმედებდნენ და დღეს-კი მათს თავ-გასულობას საზღვარი არა აქვს. წარმოიდგინეთ, მანეთის ყურძნიდან 7—8 მანეთის არაყი უნდა გამოხადონ და ასე ულვთოთ სოფელი ატყავონ. შეიძლება ორ-სამ გლეხს ჰქონდეს გაუყიდავი ახალი ყურძნის მოსავალი, თორემ სხვების ეს ერთად-ერთი ცხოვრების სახსარი-კი ამ ბატონების ხელში გადადის. დროა ამათ თავ-გასულობასაც ბოლო მოეღოს!

ბახველი ს.

*** **კავთისხევი** (ქართლი). სოფელ კავთისხევს ჩამოუდის მდ. კავთურა, რომელიც მთელს სოფელს ორ ნაწილად ჰყოფს. ამ მდინარეზე ამ ორი სამი წლის წინათ კარგა მოზრდილი ხის ხიდი იყო გადებული, რომელზედაც ქვეითი და ურმები გადიოდა. უცებ მოვარდა საშინელი ნიაღვარი მდინარის სათავიდგან 5 ხიდი მოგლიჯა და მდ. მტკვარს შეუერთა. სადაც ხიდი იყო გადებული, ისეთი დიდი ღრიანცელი ხევი გააკეთა მდინარემ, რომ კაცს შეზარავს შიგ რომ გადიხედოს წარმოიდგინეთ. გარდა კავთისხეველების, ამ გზაზე მილეთის ხალხი დადი ა და გაკეთებას კი არავინა ზრუნავს საშინელი სურათი წარმოგიდგებათ. როდესაც დატვირთული ურმები გადიან ამ მდინარეზე. ჯერ ჩაექანება ურემი ღრიანცელში და ახლა იმათი ჭაპან-წყვეტა მაშინ არის, როდესაც აღმართს შემოუდგებიან, მგონი ხუთი უღელი ხარი უნდა შეუბან, რომ დიდის მეცადინეობით ამოიტანონ. გარდა იმისა, რომ აღმართია, საშინელი დიდრონი სიპის ლოდებიც არის შიგ და ბევრს ურემსაც გადაუთამაშნია მდინარეში. მეტადრე მაშინ არის საზარალო ურმის გადაბრუნება, როდესაც კირით არის დატვირთული, მაშინვე იშლება კირი და ასდის საშინელი კორიანტელი.

ნოტიო წელიწადს, როდესაც მდინარეები მატულობს, კავთურაც თავისებურად მოიგიჟიანებს ხოლმე თავსა და ქვეითი ხალხიც ველარ გადის თუ ურემი არ შეაბეს და ისე არ გაჰყიდნენ.—თუმცა გადებულია ზედ ორი გძელი ხეები გასასვლელად, მაგრამ როცა მოდიდდება ერთიც აღარ არის.

ამას წინად თვითონ ბ. ბოქაული ბრძანდებოდა კავთისხევში, შემდეგ ქვეით მიდიოდა, მაგრამ რაკი მდინარე ძლიან მოდიდებული იყო, ვერც ცხენებით გამობედა გამოსვლა და ურემი შეაბმევინა. წარმოიდგინეთ, ერთი კრინტიც არ დაუძრავს, არ ჩააგონა, არ უბრძანა მამასახლისს ხალხი ცდილიყო და გაეკეთებინათ. მით უფრო, რომ ამ ხიდს ვერც ერთი გორის მაზრის კაცი გვერდს ვერსად აუქცევს. სულ უბრალო შრომა და დრო დაეხარჯებათ გასაკეთებლად, თუ კი მოთავე და წინამძღოლი ეყოლებათ.

ურიგო არ იქნებოდა, ვისიც ჯერ არს, ამ საქმეს მიაქცევდეს ყურადღებას, უბრძანებდეს საზოგადოების მამასახლისებს და ხიდს გააკეთებინებდეს და, არა გვგონია, რომ ამის წინააღმდეგ სოფლელები გა,დეს, რადგანაც თითონვე ასცდებათ სამუდამოთ ტანჯვა-წვალება.—

ივ. კავთელი

*** **ახალ-სენაკი.** საკუთარი რამე-რუმე. ნებით თუ უნებლიეთ, მომეცა შემთხვევა და ბედნიერება, რომ ჩვენის კოლხიდის დღევანდელ პირველ ქალაქად წოდებული ახალ-სენაკი მენახა. ვნახე და დავრწმუნდი, რომ ეს დაბა დღითიდღე მუდამ ზრდასა და წარმატებაში შედის. მდებარეობაც კარგი აქვს და იშვიათად, რომ რაიმე ავადმყოფობამ აქ თავი იჩინოს. სავაჭრო მაღაზიები ყოველგან ქვიტკირისაა, ახალ გეგმაზე წამოჭიმული, სადაც სხვა და სხვა გვარი ვაჭრობაა გაჩაღებული. მცხოვრებთა რიცხვაც შესაფერია და სახლებიც ისეთია გაკეთებული, რომ არამც თუ დაბისა, არამედ ზოგიერთ ქალაქისასაც არაფრით ჩამოურჩება. ქუჩებიც შესაფერია, მაგრამ ოღრო-ჩოღრო და უფარნოა ადგილ-ადგილ თუმცა-ღა რამდენიმე ფარანი ბჟუტავს. მაგრამ მკრთალად უმთავრეს ალაგას, მთლად დავიწყებიათ დაბის მამა-მთავრებს—დეპუტატებს. ეს უკანასკნელნი, როგორც მიამბეს, სახელით არიან დეპუტატნი და არა საქმით. დეპუტატნი დაბისა უფრო ინტრიგებს მისდევენ, ვინემ რაიმე კეთილ საქმეს. მათ მოქმედებას შარშან ზაფხულში „ცნ. ფურ.“-ის №-ში ფარდა ახადა ბ. ფასტიოღლიმ, რომელმაც სამართლიანი შენიშვნა მისცა მათ მოქმედებას და დაუდევრობას. ჩვენ, ამ სტრიქონის დამწერი, სრულიად ვეთანხმებით ბ. ფასტიოღლის. აქაური დეპუტატთა დაუდევრობა იქიდანაც მტკიცდება, რომ აგვისტოს 2 ადგილობრივ ბლაღ. მღვარისტ. კალანდარიშვილს კრება ჰქონია თავის მრევლისა და მოვაჭრების შესახებ, ეკკლესიის მნათისა და ახალ ეკკლესიის მზრუნველის ამორჩევაზე, მაგრამ კრებას მხოლოდ $22^{1}/_{2}$ კაცი დაესწრო,

ამაში დაბის მამებთა შორის (სამია თუ ოთხი) ძლივსღა ერთი ბრძანდებოდა და დანარჩენი არც ერთი. რა არის ამის მიზეზი თუ არ უგულობა? ნუ თუ ამგვარი საქმე, როგორიც არის ახალი ეკკლესიის აშენება, არ არის მათთვის საყურადღებო საგანი? აქაურები ძალიან გულ-ნატკენი არიან დაბის დეპუტატებზე. ან და როგორ არ იქნებიან, როდესაც ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ახალი ეკკლესიის აშენება დაუწყიათ. ერთი მესამედი კიდეც აუშენებიათ და დანარჩენი მიუტოვებიათ, რის გამოც, რაც გაკეთებულია ისიც ფუჭდება და გაგრძელების ფიქრი კი არ მოსდით. სასურველი კია, რომ მღვდელიც, ერიც და სხვებიც შეერთებულის ძალღონით, რაიმე ღონეს იღონებდნენ, თორემ ვგონებთ მეორედ მოსვლამდე არც ეღირსოთ ახალი ეკკლესიის დამთავრება.

ისევ ის

---

## ყურმოკრული საუბარი

— კაცი ერთად-ერთი ისეთი ცხოველია, რომელსაც სიცილი შეუძლია.

— მართალია, მაგრამ სამაგიეროდ კაცი ისეთი ერთად-ერთი ცხოველიც არის, რომელზედაც სიცილი შეიძლება.

—

— თქვენ თქვენი რომანის შინაარსი №-ისათვის მოგიპარავთ.

— რა უსამართლო რამა ხარ! 1863 წელს № მოკვდა, მე კი 1854 წ. დავიბადე.

---

# წვრილი ამბავი

ამერიკის ჟურნალ-გაზეთები. როგორც „Scientific American“ იგადმოგვცემს, ამ ჟამად შეერთებულ შტატებში გამოდის 2,200 ყოველდღიური და 15,000 საკვირაო გაზეთები.

ეს გაზეთები გამოდიან 23 ენაზე ინგლისურ ენის გარდა. ოცამდე გაზეთი გამოდის ფრანგულ ენაზე, თუმცა ფრანგები შეერთებულ შტატებში ნაკლებად სცხოვრობენ. რუსულ გაზეთებზე იქ არაფერი არა ისმის-რა, თუმცა „Scientific American“-ი ამბობს, რომ ამერიკაში ერთი გაზეთი რუსულ ენაზედაც გამოდისო. სომხებსაც ერთი გაზეთი ჰქონიათ, ჩინელებს კი, რომელნიც სან-ფრანცისკოში სცხოვრობენ აქვთ ორი საკვირაო გამოცემა. ფინლიანდიის ენაზე გამოდის ხუთი გაზეთი, პოლონურ ენაზე—თერმეტი, ზოგი ყოველ-დღიური და ზოგი კი საკვირაო. ისპანიელებს და პორტუგალიელებსაც აქვთ გაზეთები, მხოლოდ ისინი შეეხებიან მარტო სავაჭრო-სამრეწველო საქმეებს. ჩეხურ ენაზე გამოდის ხუთი გაზეთი, დანიელების ენაზე—სამი, შვეიცარიის და ნორვეგიელების ენებზე—ორმოცდა ერთი, ჰოლლანდიელების ენაზე—თვრამეტი, იტალიელების ენაზე მარტო ოთხი, რაც შეეხება გერმანელებს, მათი გაზეთები გამოდის შეერთებულ შტატების ყველა უმთავრეს ქალაქებში.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 სექტემბერი

**ჰონკონგი.** კან-იუმეი აქ მოვიდა „ბალლარატის“ გემით, რომელსაც ინგლისის სამხედრო გემი „ბონავენტური“ მოჰყვა. კან-იუმეი პოლიციას გარდასცეს. ჩინეთის ორის სამხედრო გემის დანახვისათანავე, რომელნიც ჰონკონგისაკენ მიემართებოდნენ, „ბონავენტური“ საომრად მოემზადა.

**ქაირი.** ის ამბავი, რომ ეგვიპტეს ჯარის სარდალი კიჩინერი სუდანის გენერალ-გუბერნატორად იქმნა დანიშნულიო, სიმართლეს მოკლებულია.

**პეკინი.** ვაშინგტონში ჩინეთის ელჩად ნამყოფს ჩჟინ-ნინ-ხუანს, რომელიც მთავრობის ბრძანებით დედოფლის ვიქტორიის იუბილეის დღესასწაულებს დაესწრო ლონდონში, ჩამოერთვა ყოველივე თანამდებობა და გადასახლებულ იქმნა კულჯუში.

**ლონდონი.** „ტიმესს“ პეკინიდან ატყობინებენ, რომ ჩჟუნ-ნინ-ხუანის დასჯის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ იგი საიმპერატორო დასის დიდი მომხრე იყო.

**პარიზი.** გუშინ პრელის სასახლეში გარდაიცვალა ქ-ნი კარნო, მეუღლე რესპუბლიკის პრეზიდენტად ნამყოფისა.

**პარიზი.** დღეს დილით დუელი მოხდა პომიესა და „Lanterne“-ში დაბეჭდილ წერილის ავტორის ტიუროს შორის. მოწინააღმდეგენი ოთხჯერ დაეტაკნენ ერთმანეთს. ტიურო სამს ადგილას იქმნა დაჭრილი. პომიე მსუბუქად დაიჭრა ტუჩში.

„Aurore“-სა და „Matin“-ში იბეჭდება ინგლისის ჟურნალისტის სტრონგომის ნალაპარაკევი და ესტერგაზის ორი წერილი: ერთში ლაპარაკი იმის შესახებაა, ვითომ ესტერგაზის აზრადა ჰქონდეს საყურადღებო ამბების გამოქვეყნება. მეორეში ესტერგაზი ამბობს: „მე მიმატოვეს, ამიტომ ნება მაქვს თავი დავიცვაო“.

საკასაციო სასამართლოს მთავარმა ბრალმდებელმა დაასრულა დრეიფუსის საქმის განხილვა და გარდასცა იგი სისხლის სამართლის პრეზიდენტს.

**ლონდონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ პეკინიდან მიიღო მაკ-დონალდისაგან დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ საელჩოს წევრს მორტიმარს, რომელიც სადგურიდან ცოლით სახლში მიდიოდა, ბრბომ შეურაცხება მიაყენაო. ბრბომ ქვები დაუშინა მათ. შემდეგ ასეთივე შეურაცხება მიაყენეს ამერიკის მისსიონერებს, აგრეთვე ამერიკის საელჩოს მდივანს, ჩინელს, რომელსაც გვერდები ჩაუმტვრიეს. პეკინში ხალხი დიდად აღელვებულია.

**სტამბოლი.** ვანის ვილაეტის მელასკერდასის ოლქში სომეხთა ბრბოს, რომელიც ვითომ კავკასიიდან მოსულა, და ოსმალეთის ჯარს შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც მოჰკლეს 49 და დასჭრეს 3 სომეხი.

**ყანდია.** კიდევ გადმოსხეს გემებიდან 1200 ინგლისელი ზღვაოსანი. ადმირალთ დაადგინეს დამნაშავეთა საქმე განიხილოს სამხედრო სასამართლომ. შვიდი დამნაშავე ინგლისელებს გადასცეს. ოსმალეთის ჯარის უფროსი ყანდიაში ედხემ-ფაშა გადააყენეს და იმის ადგილას სხვა დანიშნეს.

21 სექტემბერი

**კოპენჰაგენი.** განსვენებულის დედოფალის სურვილის თანხმად, დაკრძალვა მოხდება როსკილში, საკათედრო ტაძარში, ხოლო დაკრძალვის დროს სამგლოვიარო პროცესიები არ იქმნება. გიენტოფტიდან გვამს რკინის გზით გაასვენებენ ისე, რომ კოპენჰაგენს ასცდეს.

**პარიზი.** „Libre Parole“ სწერს: „მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ დრეიფუსის საქმის განხილვა შეუძლებელია, მაგრამ იგივე არ ითქმის განაჩენის იმის შესახებ, რომ განაჩენი გაუქმებულ იქმნას“.

**რომი.** ჯერ გარდაწყვეტილი არ არის, რა საშუალება უნდა იქმნას მიღებული კრიტის კუნძულიდგან ოსმალეთის ჯარის წაყვანის შესახებ.

**პარიზი.** ვაგრამის დარბაზში უნდა მომხდარიყო მიტინგი დრეიფუსის სასარგებლოდ. ნაშუადღევის პირველ საათზე მიტინგის გამმართველი პრესანსე სცდილობდა დარბაზში შესვლას, მაგრამ შეიპყრეს და პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. დარბაზის წინ საკმაოდ ბევრი ხალხი შეიკრიბა, ზოგნი ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს ზოლას, გაუმარჯოს საქმის ხელახლად განხილვას!“ რამდენიმე კაცი დაapატიმრეს. ნაშუადღევის 4 საათზე მანიფესტანტებმა, რომლებიც განდევნეს ვაგრამის დარბაზი[ს] მახლობელ ადგილიდგან, სცდილობდნენ ოპერის მოედანზე შეკრებილიყვნენ, სადაც სამხედრო საკრებულოა, მაგრამ პოლიციამ განდევნა.


## განცხადებანი

# ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., ½ გირვანქა 2 მან. 50 კაპ. ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., ½ გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—22)

# ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. „**УРБЭНЪ**“
Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—41)